სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში"

გია ქარცივაძის განცხადებასთან დაკავშირებით შექმნილი თვითრეგულირების კომისიის გადაწყვეტილება

საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

16 ივნისი, 2022 წელი

ქ. ბათუმი

2022 წლის 06 მაისს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიო"-ს განცხადებით მომართა გია ქარცივაძემ.

განცხადებასთან დაკავშირებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიო" -ს 2022 წლის 31 მაისის N 02-09/53 ბრძანებით შეიქმნა თვითრეგულირების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავჯდომარე- ბესარიონ შერვაშიძე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" მაუწყებლობის განვითარების სამსახურში სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სპეციალისტი;

კომისიის წევრი - ლალი ბერძენიშვილი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიადა რადიოს" საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში სატელევიზიოპრომოუშენის წარმოების მენეჯერი, სტუდიური გადაცემების ტექნიკური პროდიუსერი."

კომისიის წევრი- ნათელა გოგიჩაიშვილი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" დირექტორის თანაშემწე - კომისიის წევრი;

2022 წლის 03 ივნისს კომისიაზე მოწვეული იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" ახალი ამბების სამსახურის რეპორტიორი ქეთევან ბოლქვაძე, რომელმაც განმარტა, რომ სიუჟეტის მომზადების დროს სურდა მხარეების თანაბრად და მიუკერძოებლად წარმოჩენა. ამავე კომისიის სხდომაზე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია მოწმის სახით დაეკითხა მაუწყებლის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ფირუზ ბოლქვაძე.

კომისიაზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს" მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების წესების დაცვით 2022 წლის 07 ივნისის კომისიის სხდომაზე გამოცხადდა საჩივრის ავტორი გია ქარცივაძე, რომელმაც დააყენა კომისიის წევრის აკაკი გოგიჩაიშვილის აცილების შუამდგომლობა, საჩივრის ავტორმა შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითა ის გარემოება, რომ 2022 წლის 29 აპრილს 18:00 საათიანი გამოშვების რედაქტორი იყო აკაკი გოგიჩაიშვილი. საჩივრის ავტორის გია ქარცივაძის შუამდგომლობა კომისიის წევრის აკაკი გოგიჩაიშვილის აცილების თაობაზე დაკმაყოფილდა.

2022 წლის 07 ივნისის კომისიის სხდომაზე ვინაიდან საჩივრის ავტორის შუამდგომლობა აცილებაზე დაკმაყოფილდა, საჭიროება წარმოიშვა კომისიის წევრის

№ 02-26/1483
24 06 22

ცვლილების, მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილად მიიჩნია კომისიამ გონივრული ვადით საჩივრის ვადის გაგრძელების, მაგრამ არაუმეტეს 10 (ათი) დღისა.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2022 წლის 11 იანვრის N02-03/11 ბრძანებით დამტკიცებული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების მეხუთე მუხლის თანახმად განსაზღვრულია საჩივრის ვადების განხილვა, კერძოდ:

1. კომისიის მიერ საჩივრის განხილვა უნდა მოხდეს მისი დასაშვებად ცნობის დღიდან 21 დღის ვადაში;

2. თუ საქმის გარემოებების გათვალისწინებით საჩივრის განხილვა ვერ ხერხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში, კომისია უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე გააგრძელოს საჩივრის განხილვის ვადა, არა უმეტეს 10 დღისა;

3. საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს ყველა დაინტერესებულ მხარეს

2022 წლის 10 ივნისს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორის 2022 წლის 24 მაისის #02-09/53 ბრძანებაში (სსიპ „საზოგადოებრივი აუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში გია ქარცივაძის მიერ წარმოდგენილი საჩივრის განხილვის კომისიის შექმნის თაობაზე) შევიდა ცვლილება ნაცვლად კომისიის წევრის აკაკი გოგიჩაიშვილისა კომისიის წევრად დაინიშნა ლალი ბერძენიშვილი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიადა რადიოს“ საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში სატელევიზიოპრომოუშენის წარმოების მენეჯერი, სტუდიური გადაცემების ტექნიკური პროდიუსერი.“

თვითრეგულირების მიზნებიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია იმ გარემოებათა შესწავლა, რომლებსაც მომჩივანი მხარის პრეტენზია ეფუძნება. ამ მიზნით გაიმართა კომისიის შეხვედრები სიუჟეტის ავტორთან, მომჩივანი მხარესთან, მმართველი საბჭოს წევრებთან. საჩივარი ეფუძნება პოზიციას: „ამდენად, ვხელმძღვანელობ „მაუწყებლის შესაახებ'' საქართველოს კანონისა, და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12მარტის N2 დადგენილებისა და სსიპ ''საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს'' მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების შესაბამისი ნორმებით, გთხოვთ ზ.აღნიშნული სიუჟეტი შეაფასოთ (ა) ჯეროვანისიზუსტის დაცვის პრინციპთან მიმართებაში, (ბ) მიუკერძოებლობის დაცვის პრინციპთან მიმართებაში,(გ) სამართლიანი მოპყრობის პრინციპთან მიმართებაში და (დ) სარედაქციო დამოუკიდებლობის პრინციპთან მიმართებაში.

კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა ემსჯელა, დაირღვა თუ არა მოცემული პრინციპები მაუწყებლის მხრიდან და ამ მიზნით შეისწავლა საჩივარში

აღწერილი გარემოებები. არსებული ინფომაციის დაზუსტებისა და დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, კომისიამ საჩივრის ავტორთან, ეთერრში გასული მასალის ავტორ ქეთევან ბოლქვაძესთან და სიუჟეტის რესპოდენტ ფირუზ ბოლქვაძესთან გამართა შეხვედრები.

1. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

1.1. 2022 წლის 16 მაისს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" (შემდგომში - „მაუწყებელი") დირექტორს განცხადებით (#02-12/129 მომართა გია ქარცივაძემ.საჩივრის ავტორის მითითებით დარღვეულია „მაუწყებლობის შესახებ " კანონი. *(კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს საჩივრის ავტორის* 2022 წლის 16 მაისის საჩივარზე N02-14/129*).*

1.2. აღნიშნული განცხადების (საჩივრის) საფუძველზე სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის 2022 წლის 24 მაისის N 02-09/53 ბრძანების თანახმად შეიქმნა თვითრეგულირების კომისია; *(კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის* 2022 წლის24 მაისის N 02-09/53*);*

2. დადგენილი სადაო გარემოებები;

2.1. განმცხადებელი თავის საჩივარში მიუთითებს სამ უზუსტობაზე, რომელთან დაკავშირებითაც კომისიის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი სადაო ფაქტობრივი გარემოებები:

2.1.1. (ა)პრინციპის დარღვევის დამადასტურებლად მომჩივანი შემდეგ გარემოებას ასახელებს: ''საქმის არსი მდგომარეობს შემდეგში: მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს 2022 წლის 22 თებერვლის სხდომაზე, სადაც დღის წესრიგით განსახილველ სხვა საკითხებთან ერთად, მე როგორც მრჩეველთა საბჭოს ერთ ერთმა წევრმა, დირექტორის მიერ გამოხატული არაერთი პირადი თუ ზოგადი ხასიათის შეურაცმყოფელი გამონათქვამების (კორუფციაში ბრალდების) საპასუხოდ, დირექტორის ქმედების შესაფასებლად, ალეგორია, გამოვიყენე, რომლის სექსისტური ხასიათი მაშინვე გავიაზრე და იქვე უარვყავი,არაერთხელ მოვიხადე ბოდიში და ვითხოვე პატიება, როგორც იქ მყოფთაგან, ასევე ზოგადად საზოგადოებისაგან.ჩემს მიერ დაშვებული შეცდომა .აღნიშნული მრჩეველთა საბჭოს სხდომიდან ორი თვის შემდეგ, 2022 წლის 29 აპრილის ექვსაათიან საინფორმაციო გამოშვებაში მოხვდა როგორც ''სამხილი'' ჩემ წინააღმდეგ.''

''მასალა (მრჩეველთა საბჭოს სხდომის მონაკვეთი) ისე იყო ამოჭრილი, რომ მაყურებელს/ მსმენელს ვერ გაეგო რისთვის გამოვიყენე მე სექსისტური

ალეგორია და ვერც იმას, იქვე, რომ უარვყავი საკუთარი შეფასება, ვითხოვე პატიება და მოვიბოდიშე არაერთხელ.''

კომისიის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად დაზუსტდა, რომ აღნიშნული ფრაგმენტი მაუწყებელს რესპოდენტმა ფირუზ ბოლქვაძემ, საკუთარი პოზიციის დამადასტურებელ ფაქტობრივ მტკიცებულებად წარუდგინა. საინფორმაციო სამსახურმა მაყურებელს მასალა წარუდგინა როგორც რესპოდენტის წარდგენილი. გადაცემა არ ეძღვნებოდა მომჩივანის მიერ აღწერილ მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე მომხდარ ინციდენტს. ამიტომ კომისია არ მიიჩნევს, რომ სამსახურს გარკვეული დეტალების წარმოჩენის ვალდებულება ჰქონდა, ან ამ დეტალების მაყურებელზე მიწოდებით უფრო მეტად გასაგებს გახდიდა იმ საკითხს, რომლის განხილვასაც სიუჟეტი ეძღვნებოდა. რესპოდენტის პოზიციის სრულყოფილად წარმოსაჩენად, კი გამოყენებული ფრაგმენტი სრულებით საკმარისი იყო.ისიც გასათვალისწინებელია რომ საინფორმაციო სამსახურმა ბატონ გია ქარცივაძესთან ჩაწერა საპასუხო ინტერვიუ, რომელიც,როგორც მომჩივანმა მხარემ კომისიასთან უშუალო გასაუბრებისას დაადასტურა, უცვლელად და დაუმახინჯებლად შეიტანა სუჟეტში. ყოველივე ეს განაპირობებს კომისიის გადაწყვეტილებას,რომ მოცემულ შემთხვევაში ჯეროვანი სიზუსტის დაცვის პრინციპი, მაუწყებლის მხრიდან არ დარღვეულა.

2.1.2. მეორე გარემოება, რომელზედაც მხარე მიუთითებს, მდგომარეობს შემდეგში: ''საქმისთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ 29 აპრილს მაუწყებლის მიმდებარე ტერიტორიაზე (ბათუმი, მ. აბაშიძის ქუჩა N41) მაუწყებლის რამდენიმე მოქმედი თანამშრომლის ორგანიზებით იმართებოდა შეხვედრა ერთ-ერთი გათავისუფლებული თანამშრომლის მხარდასაჭერად. მიუხედავად იმისა, რომ არც დასაქმებულთა შეხვედრასთან და არც გათავისუფლებული თანამშრომლის მხარდაჭერასთან დაკავშირებით, დროის იმ მონაკვეთში (რაც სიუჟეტში შეფასებულია აქციად) არანაირი ინიციატივა ან მოწოდება არ მქონია, სამსახურმა გადაწყვიტა ჩემი იქ ყოფნა დაეკავშირებინა ორი თვის წინ მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე ნათქვამ ფრაზასთან, მაუწყებლის ადმინისტრაციის მეშვეობით კი, საჯაროდ დამდო ბრალი ქალთა მიმართ,ძალადობის წახალისებაში,განთავისუფლებულ თანამშრომელთან დაკავშირებით ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი,ქალთა უფლებების დაცვადაა შეფასებული. საქმისთვის მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სიუჟეტში ჩემი დისკრედიტაციისათვის გამოყენებული ვიდეო მასალა, მაუწყებლის ადმინისტრაციამ დღის პირველ ნახევარში სხვადასხვა

- მედიასაშუალებებს გადაუგზავნა, ხოლო დღის ბოლოს აღნიშნული მასალის გამოყენებით სამსახურმა მოამზადა ჩემს მიერ სადაოდ გამხდარი სიუჟეტი.''

კომისია მიიჩნევს, რომ პოზიციის გამოხატვის მიზნით ადამიანთა ჯგუფის გარკვეულ ლოკაციაზე თავშეყრას, შეიძლება აქცია ეწოდოს. ისიც დადასტურებული ფაქტია რომ მოჩივანი ნამდვილად იმყოფებოდა ამ ღონისძიებაზე. გასული მასალიდან აშკარად ჩანს, საინფორმაციო სამსახურს მომჩივანის მიმართ თავისი პოზიცია არ გამოუხატავს. მის მიმართაც და განთავისუფლებული თანამშრომლის მიმართაც პოზიცია დააფიქსირა,რესპოდენტმა ფირუზ ბოლქვაძემ, რომელიც მაუწყებლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის სტატუსით აკეთებდა განცხადებას. შესაბამისად სამსახურს, არც ბრალი დაუდია მომჩივანისათვის და არც ვინმე გამოუყენებია ამ მიზნით. სიუჟეტის ავტორმა კომისიას განუმარტა, რომ მასალა სულ სხვა მიზანს ემსახურებოდა და არა მომჩივანის დისკრედიტაციას. ფაქტობრივი გარემოებები არ აძლევს კომისიას საშუალებას საწინააღმდეგო ამტკიცოს. მით უმეტეს, რომ საინფორმაციო სამსახურმა მისცა მომჩივანს სრული საშუალება, საჯაროდ გაეცა პასუხი და დაესაბუთებინა თავისი სმართლე. კომისია ვერ ხედავს მიუკერძოებლობის დაცვის პრინციპის დარღვევას იმ ქმედებაში, რომ მაუწყებელმა უცვლელად და საკუთარი აზრის თავს მოხვევის გარეშე, გააცნო მაყურებელს მხარეთა პოზიციები.ის, რომ ბატონი ფირუზი მაუწყებლის ადმინისტრაციის თანამშრომელია, არ ნიშნავს იმას, რომ მისი პოზიცია მაუწყებლის პოზიციად უნდა მივიჩნიოთ. უკიდურეს შემთხვევაში ის ადმინისტრაციის პოზიციას შეიძლება წარმოადგენდეს. ბატონმა ფირუზ ბოლქვაძემ დაუდასტურა კომისიას, რომ ხსენებული ჩანაწერი ნამდვილად მიაწოდა გაზეთ ბათუმელებს და გააცნო სხვა საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებს,იქვე აქციის კომენტირების პროცესში, ოღონდ აჭარის ტელევიზიისა და გაზეთი ბათუმელების გარდა ინტერესი არავის გამოუხატავს. კომისია ვერ ხედავს ამ ფაქტში მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის მიერ გამოვლენილ მიკერძოებას, ან სხვა დარღვევას.

2.1.3. (გ)პრინციპის დარღვევის დასადასტურებლად მომჩივანი აცხადებს; ''საინფორმაციო სამსახურს ობიექტური (მიუკერძოებელი) სიუჟეტის განზრახვა, რომ ჰქონოდა მრჩეველთა საბჭოს სხდომის იმ ნაწილითაც დაინტერესდებოდა, რასაც მოჰყვა ჩემი მხრიდან მცდარი, სექსისტური ალეგორიის გამოყენება, ან კიდევ, თუკი მართლაც ჩემი დისკრედიტაციისკენ მიმართული არ იყო აღნიშნული ქმედება, სიუჟეტში აუცილებლად მოხვდებოდა ის მონაკვეთიც,სადაც ვემიჯნები ჩემივე განცხადებას.''

- კომისიას არა აქვს არგუმენტი,რომლის გამოც, ან საინფორმაციო სამსახურს, ან ჟურნალისტს, მიკერძოებულ და უსამართლო ქმედებად ჩაუთვლის იმას,რომ არ იფიქრეს, ხომ არ ჰქონდა მცდარ, სექსისტურ ალეგორიას გამამართლებელი მიზეზი და არ დაიწყეს ამ მიზეზის კვლევა. რაც შეეხება შოდიშის მოხდასა და საკუთარი გამონათქვამისაგან გამიჯვნას, ეს ფაქტი არ აბათილებს ფირუზ ბოლქვაძის პოზიციას და თუ მომჩივანი სხვაგვარად მიიჩნევდა,მას ჰქონდა საშუალება, საჯაროდ და არგუმენტილებულად გამოეხატა თავისი პოზიცია,ეთქვა ის ,რისი თქმაც მისი აზრით სამსახურმა თემას მიაკლო.

2.1.4. (დ)პრინციპის დარღვევის დასაბუთების მიზნით საჩივრის ატორი წერს: ჩემი დისკრედიტაციის გარდა, საქმეში ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება,თუ რა მოცულობის გავლენით სარგებლობს მაუწყებლის ადმინისტრაცია სამსახურის სარედაქციო მიმართულებაზე.''

კომისია არ ფლობს ადმინისტრაციის გავლენით სარგებლობის შესახებ ინფრმაციას. განსახილველი თემა არ შეიცავს ამის მტკიცებულებას.მართალია შიუჟეტში სამსახური ადმინისტრაციის წარმომადგენლის პოზიციას აჟღერებს,მაგრამ იქცევა ისე , როგორც უნდა მოქცეულიყო ნებისმიერი რესპოდენტის შემთხვევაში,უცვლელად გადასცემს ინტერვიუს,არც ეთანხმება და არც უარყოფს მის მოსაზრებებს,იგივეს აკეთებს სიუჟეტის სხვა რესპოდენტთა მიმართაც. კომისია საჭიროდ მიიჩნევს ისაუბროს კიდევ ერთ გარემოებაზე,რომელმაც მისი დაინტერესება გამოიწვია. შეხვედრისას ბატონმა გია ქარცივაძემ,კომისიას მიაწოდა ინფორმაცია,რომლის თანახმადაც, მმართველთა საბჭოს წევრებს შეეძლოთ დაედასტურებინათ ,რომ დირექტორი დაინტერესებული იყო ,ბორდის სხდომაზე გაკეთებული განცხადების მისი დისკრედიტაციის მიზნით გამოყენებით და სხდომის მსვლეობისას, რაღაც ფორმით საბჭოს ერთ-ერთ წევრს დაავალა ამის გაკეთება. კომისიის თხოვნაზე, მოეწოდებინა უფრო დაწვრილებით მისთვის ცნობილი ინფომაცია,განაცხადა, რომ თუკი მმართველთა საბჭოს წევრებს გამოვკითხავდით, ისინი დაადასტურებდნენ მის პოზიციას და უფრო ზუსტ ინფორმაციას მოგვაწვდიდნენ. ამის შემდეგ,ბუნებრივია კომისიამ საბჭოს წევრებთან შეხვედრა გამართა . არცეთმა საჭოს წევრმა არ დაადასტურა ბატონი გიას ინფორმაცია, რაიმე ფორმით ასეთი დავალების გაცემის შესახებ.

3. სამართლებრივი დასაბუთება:

3.1. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2022 წლის 11 იანვრის N02-03/ 01 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს' მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების მე-4 მუხლის თანახმად

1. კომისია მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს შემდეგ საკითხებზე: 1.1. აჭარის ტელევიზისა და რადიოს პროგრამებში მოყვანილი ფაქტების უზუსტობის გამო წარმოდგენილი დავები; 1.2. ფაქტების ზუსტი, სამართლიანი და მიუკერძოებელი გაშუქების ვალდებულების დარღვევისას წარმოქმნილი დავები . . . 1.5 ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევები;" - შესაბამისად სწორედ იმის გამო, რომ *განმცხადებელი თავის საჩივარში (განცხადებაში) მიუთითებდა, რომ* რამდენიმე ფაქტობრივი უზუსტობა იყო წარმოჩენილი" აღნიშნული განცხადება (საჩივარი) მიღებული იქნა წარმოებაში, რათა დადგენილი ყოფილიყო სადაო სიუჟეტში მოყვანილი ფაქტების უზუსტობა;

3.2. მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად ,,მაუწყებელმა დაუფარავად და ობიექტურად უნდა გააშუქოს მასთან და მის პერსონალთან დაკავშირებული საკითხები. მაუწყებელი ვალდებულია ყურადღებით გაეცნოს საზოგადოებისგან შემოსულ ყველა საჩივარს და სათანადო დროში გასცეს თავაზიანი პასუხი. თუ საჩივარში გამოთქმული პრეტენზია საფუძვლიანია, დაუყოვნებლივ გაასწორეთ დაშვებული შეცდომები;" - შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში კომისია ყურადღებით გაეცნო საზოგადოებრივი მაუწყებელში შემოსულ განცხადებას და შესწავლილი იქნა მასში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები;

3.3. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2022 წლის 11 იანვრის N02-03/ 01 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს' მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების 7.8 მუხლის თანახმად *,,კომისია ვალდებულია საჩივრის განხილვისას გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე“;* - შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში კომისია ყურადღებით გაეცნო საზოგადოებრივ მაუწყებელში შემოსულ განცხადებას, შესწავლილი იქნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის მიერ მოხდა ამ გარემოებათა შეფასება და ურთიერთშეჯერება;

3.4. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მიხედვით საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულიაა) უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება; ბ) უზრუნველყოს საზოგადოების ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის; თ) პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება; ი)

ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები; ლ) ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2022 წლის 11 იანვრის N02-03/ 01 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს' მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების მე-7-ე მუხლის მე-8-ე პუნქტის თანახმად, *(„კომისია ვალდებულია საჩივრის განხილსას გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე),* ამავე დებულების მე-8-ე პუნქტის 1.3. პუნქტის თანახმად, *(კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: 1.3. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ),* ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, *(2. კომისიის გადაწყვეტილებაში აღინიშნება: 2.1. მისი მიღების დრო და ადგილი, მიმღებ პირთა ვინაობა და საჩივრის წარმდგენი პირის დასახელება; 2.2. კომისიის მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც მოხდა გადაწყვეტილების მიღება; 2.3. გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადები დ წესები),* კომისიამ მიიღო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. 2022 წლის 16 მაისის N02-14/129 გია ქარცივაძის განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ეთერში 2022 წლის 29 აპრილს 22:00 საათზე ახალი ამბების სამსახურის 18:00 სათიაან რეპორტაჟთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდეს;

2. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება აპელაციის წარდგენის წესით სააპელაციო კომისიაში (სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოში") გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების დღიდან 7 სამუშაო დღის ვადაში მისამართზე ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის #41 სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს კანცელარიაში (საქმისწარმოების სამსახურის) წარდგენის მეშვეობით;

კომისიის თავჯდომარე- ბესარიონ შერვაშიძე - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მაუწყებლობის განვითარების სამსახურში სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სპეციალისტი

- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები; ლ) ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2022 წლის 11 იანვრის N02-03/ 01 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს' მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების მე-7-ე მუხლის მე-8-ე პუნქტის თანახმად, *(„კომისია ვალდებულია საჩივრის განხილსას გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე),* ამავე დებულების მე-8-ე პუნქტის 1.3. პუნქტის თანახმად, *(კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: 1.3. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ),* ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, *(2. კომისიის გადაწყვეტილებაში აღინიშნება: 2.1. მისი მიღების დრო და ადგილი, მიმღებ პირთა ვინაობა და საჩივრის წარმდგენი პირის დასახელება; 2.2. კომისიის მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც მოხდა გადაწყვეტილების მიღება; 2.3. გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადები დ წესები),* კომისიამ მიიღო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. 2022 წლის 16 მაისის N02-14/129 გია ქარცივაძის განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ეთერში 2022 წლის 29 აპრილს ახალი ამბების სამსახურის 18:00 სათიაან რეპორტაჟთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდეს;

2. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება აპელაციის წარდგენის წესით სააპელაციო კომისიაში (სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოში") გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების დღიდან 7 სამუშაო დღის ვადაში მისამართზე ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის #41 სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს კანცელარიაში (საქმისწარმოების სამსახურის) წარდგენის მეშვეობით;

კომისიის თავჯდომარე- ბესარიონ შერვაშიძე - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მაუწყებლობის განვითარების სამსახურში სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სპეციალისტი

კომისიის წევრი - ლალი ბერძენიშვილი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიადა რადიოს“ საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში სატელევიზიოპრომოუშენის წარმოების მენეჯერი, სტუდიური გადაცემების ტექნიკური პროდიუსერი.“

კომისიის წევრი- ნათელა გოგიჩაიშვილი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორის თანაშემწე